

„დროების“ რედაქცია—სასანის ქუჩაზე, დ. სა-
რადოვის სახლში.

წელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეპე-
ტიონურებისათვის ადრესი: Тифлисть, ред. «Дრობა»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ.; 10 თვით—
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ტელე ნომერი «დროებისა» ღიწს 5 კაპეიცია.

გამოდის უწყველ-დღე ორშაბათს ბარდა.

დროება

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უკანასკნელი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი ნი მან. ზედა და ქვედა
ბისა ითვლება მათგან დაჭერისას სტრიქონზე
ღობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს დასაბუქად გამოვლენილ წერილებს
დაუბუქავი წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
ავტორს.
Объявления въ Россіи, Царства Польскаго и за
границы принимаются только въ цент. конторѣ
объявл. Л. Метцль, Москва, Петровка, № 6

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთის „დროებაზედ“ 1885 წლისათვის

თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების
წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როს-
ტომაშვილთან; ზორში — აბალო თუთაევთან.

წლით ხელის-მომწერნი ამ წელის ყველა ნომრებს მიიღებენ. თებერ-
ვლის პირველი დღის დასაწყისად გაზეთის ფასი 8 მან. და 50 კაპ.

საფულის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით
ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

ნება რას აკეთებს ქუთაისის სამშრომლო საზოგადოება?

თბილისი, თებერვლის 8-ს

ქუთაისის არ უნდა რომ თბილისის
ჩამორჩეს. თბილისი თუ პირველობს
ჩვენს ქვეყანაში, ქუთაისის უნდა რომ
მეორეობდეს და რა დაწესებულებაც
თბილისში არსდება, ქუთაისიც ცდი-
ლობს იმ გვარივე დაწესებულებით
შეიქმნოს.

ეს სურვილი იმერეთის დედა-ქალა-
ქისა კანონიერია და მოსაწონიც, რომ
«ძალი შესწევდეს ქაღილსა», მაგრამ
ხანდისხან არამც თუ ქუთაისში, თვით
თბილისშიაც ვერა ჰხარობს რომელი-
მე სამეცნიერო საზოგადოება და ქუ-
თაისში გადნერგვა ხომ წახედულო-
ბის ნაყოფი იქნება და არა ნამდვილი
მოთხოვნებისა.

სწორედ ამ წახედულობის ნაყოფი

«დროების» ტელეგრაფი, თებერვ. 8-ს

გიგლიოზრაჟიის მამიერ

(წერილი რედაქტორთან)

ჭურ. იკვრია, № 18 IX ტ. X სვეტ. ლ. 28.

(დასასრული *)

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ
მთარგმნელი „ლორენცო ბენონის
წერილებისა“ არის მთარგმნელი მო-
თხრობისა „სადაველი იყო“, უნდა
ვალეიაროთ რომ მლ. მ—ლისა დაგვა-
საჩუქრებს ხოლმე თავისი თარგმანით
მხოლოდ წელიწადში ერთხელ და მა-
შასადამე არ ეკუთვნის იმ დასს მწერ-
ლებისას, რომელთ კალამი და ტვინი
მუდამ სამშობლო ლიტერატურას
დასტრიალებს. იქნება ეს ჩემი სიტყვ-
ები შემდეგში ტყუილი გამოდგენ, იქ-
ნება მლ. მ—ამ მომავალში ძალი
მოიცეს და მხურვალე მონაწილეობა
მიიღოს მწერლობაში, მაგრამ ჯერ-
ჯერობით-კი საქმე ასე არ არის. ამ
ნაირსავე კვალს ადგია ჩვენი ორიგინ-
ნალური მწერალი მკ. ბაბაშვილისა,

*) იხილეთ „დროება“ № 28.

გამოდება წარსულ წელიწადში იქ დარ-
სებული სამეურნეო საზოგადოებაც.
იმერლები მკვირცხლი ხალხია და ამ
საზოგადოებას რომ ჰქონოდა ის რა-
საც ფრანკლები raison d'être-ს ეძე-
ხიან, უეჭველია აქამდის რაიმე სი-
კაცის ნიშანს გამოიჩინდა. პირ-
ველში თითქო მართლა თანაგრძობა
აღმოუჩინეს ამ „საზოგადოებას“ რო-
გორც თანამდებობის პირობით, ისე თვით
ხალხმა; გუბერნიაში უმთავრესი მო-
ხელენი დაპირდნენ ყოველ გვარ ხე-
ლის შეწყობას, წვერებადაც ბევრი
ჩაწერნენ და იქაურმა სათავად-აზნაუ-
რო ბანკმაც სხვა უფრო საჭირო საგ-
ნებს მოაკლო და ამ ახლად დაბადე-
ბულ საქმეს კი 1000 მანათი შესწი-
რა.

ჩვენ არ დავსწრებივართ მაშინ ქუ-
თაისში, მაგრამ შორიდანაც კი
ვგრძობდით, როგორ დიდს იმედებს

რომელსაც არ აკლია ნიჭი მწერლო-
ბისა, მაგრამ წელიწადში ერთხელ
ძლიერ გამოაშუქებს ხოლმე.

ამას თავი დავანებოთ და ერთი ეს
ვიკითხოთ, — რა ჰქონდა სახეში მთარ-
გმნელს, როდესაც სთარგმნიდა მო-
თხრობას „სადაველი იყო“? ის ხომ
არა, რომ ქართველმა ქალებმა იღვა-
ლებად გაიხადონ ბორაჩები, რომ-
ლის ღვაწლს შედგენს სახელის გა-
მოცემა „შრანსუასი“ — „ბორაჩ-
კად“, რომელმაც ლიტერატორობა
გასკვალა პრიკაზნიკობაზედ და რო-
დესაც პირველი დაბრკოლება შეე-
ბუქა, მის აცილების მაგიერად, უსუ-
სურობით თავისი სიკვდილი იჩინა.
თუ ყმაწვილ-კაცებს ურჩევს სძებონ
იმისთანა ქალები, რომელნიც თავის
მიჯნურს იმისთვის ვასცვილიან სხვაზედ,
რომ შეეძლოთ თქმა „სადაველია“?
რასაკვირველია, მლ. მ—სა მეტყვის,
რომ მე არც ერთი მავ აზრთავანი თავ-
ში არ მიტრიალებდაო, მე მინდოდა
მეჩვენებინა, რომ ქვეყანაზედ უსამართ-
ლობას არა ერთი აღამანი უმსხვრუ-
ლია. მე მართალია, უმსხვრულია
მაგრამ თქვენი გმირი ბორაჩი მეტის-
მეტად ნაზი არსება; იმდენად საზო-

ამყარებდნ ამ „საზოგადოებაზედ“
ქუთათურები და ზოგიერთი იქამდი-
საც კი ვაიტაცა ამ მაოდის აზრმა, რომ
თავად-აზნაურობის სკოლის დაკეტაც
მოიწადინეს, ოღონდ ამ სამეურნეო სა-
ზოგადოებას დაჰმარებოდნ და მისის
შემწევობით სამეურნეო სკოლა დაეარ-
სებინათ. მოსაგონადაც კი სამარცხვი-
ნოა ის ინტრიგები, რომელნიც ზო-
გიერთმა ვაჭარებმა გამოარტყეს პირ-
ველი სკოლის წინააღმდეგ არა იმი-
ტომ რომ მართლა სამეურნეო სა-
ზოგადოებაზედ დიდს იმედებს ამყა-
რებდნ, არამედ იმისათვის, რომ
ერთის საგნის ხელში მიჩნებით საზო-
გადოებისათვის მეორე საგანზედ გუ-
ლი აცრუებინათ და ამ ხრიკებით
განეხორციელებინათ თავიანთი დედა-
აზრი. რაკი სათავად-აზნაურო სკო-
ლის წინააღმდეგ ვალაშკრება სახიზუ-
თოდ მიანდათ, საჭიროდ დაინახეს
სამაგიეროდ სამეურნეო სკოლის და-
პირება და დაარსება რადაც ცოცხალ-
შეკვლარი სამეურნეო საზოგადოებისა.
თუ თავიანთ ცოდვილობით (მართლა
რომ ცოდვილობით) სათავად-აზნაუ-
რო სკოლას ძირი ვერ გამოუთხარეს,
იმდენი ჰქნეს, რომ ათასი მანათი მა-
ინც გაადგენინეს და მოახმარეს ახ-
ლად დაარსებულ საზოგადოებას.

მერე სად გაჰქრა ეს „ახლად და-
არსებული საზოგადოება“? მანისვე-
ნებს წიაღსა შინა აბრაამისასა, ან თუ
ეხლა არ განისვენებს, ახლო მომავ-
ალში მანც ეს დღე მოეღოს. დაარ-
გადობა არ არის მისს დაღუბვაში
დამნაშავე, რამდენადაც მისი სუსტი
და ცხოვრებისთვის მოუშვადებელი
ნერვები; ასე რომ, მას თუმცა „სა-
დაველს უწოდებთ, მაგრამ უფრო სა-
მართლიანი იქნებოდა გეწოდებინათ“
სადაველი.

დასასრულ ერთი რჩევა უნდა მიე-
ცეთ მლ. მამ—სას; თუ ჰსურს მას
მოთხრობების თარგმნა, ხელი აიღოს
იმისთანა უმნიშვნელოებზედ, როგო-
რიც არის მოთხრობა სამაგვლი იყო
და სთარგმნოს უფრო შინაარსიანი
თხზულებანი. მაგალითად რამდენად
სამჯობინარო იქნებოდა, რომ გად-
მოეთარგმნა მსკიროზის „მილი“.
მართალია ეს ბევრს ღროს და შრო-
მას მოითხოვდა, მაგრამ მეტს ტვინის
და ზნეობის მასალასაც მისცემდა,
როგორც თვით მთარგმნელს, აგრეთ-
ვე მკითხველს საზოგადოებას და ახალ-
გაზდა დედებს.


როგორც თავში მოგახსენეთ, „ივე-
რიის“ რედაქციას თავისი ძალიანე
მოუხმარია შეიღ-ფურცელ-ნახევრიან
წერილის დაწერაზედ შემდეგის სათა-
ურით: „შენიშვნები ჩვენს ცხოვრება-
ზედ და ლიტერატურაზედ“. ჩვენც,

სების შემდეგ, ვგონებთ, ამ საზოგა-
დოებას არც ერთი სხდომა არა ჰქო-
ნია, არც ერთი თაბახი არ გამოუ-
ცია, იოტის ოდენადაც არ დახმარე-
ბია მეურნეობის აღორძინების საქმეს.
მართალი უნდა ითქვას, მას ჰყავს
სეკრეტარი და კანცელიარია მოწყო-
ბილი აქვს, მაგრამ თვით ეს კანცე-
ლიარია და სეკრეტარი შეადგენენ
იმისთანა საბუთებს, რომელთა ძლი-
თაც შეგვიძლიან ვიწინასწარმეტყვე-
ლოთ დღე ამ „საზოგადოების“ და-
სასრულისა. იგი იმ დრომდე „იმოქ-
მედებს“ (sic), ვიდრე პირველად
შეგზოვილი ფული, კანცელიარის
მოწყობას გადარჩენილი, მის სეკრეტ-
არის ჯამაგირს ვახვედნა...

შინაური შრონიკა

== ოთხშაბათს, თებერვლის 8-ს,
ქვეყანის ისტორიის და არქეოლო-
გიის საზოგადოების ვიცე-თავმჯდო-
მარის, პატივცემულის დ. ზ. ბაქრა-
ძის თაოსნობით რუსის ცნობილი
არქეოლოგის გრაფ პ. ს. შვაროვის
მოსახსენებლად ვისიკოპოსის ალექ-
სანდრესაგან გადსხდილ იქმნა სიონში
პანაშვილი. პანაშვილს დავსწრენ თი-
თქმის ყველა წევრები ადგილობრივ
სამეცნიერო საზოგადოებათა (ისტო-
რიისა და არქეოლოგიის, გეოგრაფი-
ულის და სამედიცინოსა). პანაშვილის

რა გავწყობა, უნდა შევეხოთ ამ წე-
რილს. მინც სათაურს დაჰხედავს, ვგო-
ნება, რომ შენიშვნების მწერალს
მართლა თავი გაუცხვლებია ჩვენის
ლიტერატურის და ცხოვრებისთვის
და მისს ავ-კარგიანობაზედ სჯისო,
მაგრამ, რა ცუდად მოსტყუებდა,
როდესაც დაჰყვება წერილს და შეი-
ტყობს, რომ მთელი ეს ვება წერი-
ლი შეწირულია ვაზ. „ახალ. მიმ.“
№-136 და მ. ჯ. საქართველოს
მოკლე ისტორიისადმი. მოგვხსენებთ,
რომ ვაზ. „ახალ. მიმ.“-ს ერთმა მწე-
რალთაგანმა გამოსთქვა ის აზრი, რომ
ქართველები აზას-დროს არა ყოფილან
ღვთისსაყრსი და ღვთის მოსახნიან.
მწერალს რომ ეთქვა, ქართველობა
არას-დროს არა ყოფილა სარწმუნოე-
ბითის ფანატიზმით გატაცებულიო,
არ უდგენია უცხოელნი სხვა სჯულის
გამოცო, არ უარსებია თვის შორის
მწვალებელთ წრეებო, რასაკვირველია,
ქვემარტებასთან ახლო იქნებოდა და
„ივერიის“ შეიღ-ფურცელ ნახევრიან
წერილი სამ ფურცლად შემოკლ-
დებოდა; ან კიდევ რომ ეთქვა:
დღეს საქართველოს ერს დაუკარ-
გავს ძველებური ღვთის მოყვარეო-



შემდეგ აქაური სასულიერო სემინარიის რექტორმა წარმოსთქვა სიტყვა მიცვალებულის გრაფ შეროვის ღვაწლზე სამშობლო არქეოლოგიის წინაშე.

იმავ დღეს საღამოთი საზოგადო ბიბლიოთეკის შენობაში იყო სხდომა ისტორიისა და არქეოლოგიური საზოგადოების წევრთა, რომელთაც პატივცემულმა დ. ზ. ბაქრაძემ წაიკითხა ამავე საზოგადოების მოკლე ისტორია; კითხვის გათავების შემდეგ წინადადება მისცა წევრებს, რომ აერჩიათ რამდენიმე თანამდებობისათვის საჭირო პირნი. პირიქის: საზოგადოების თავმჯდომარედ ძავესიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ლენიტი. ტრაგია, ვიცე-თავმჯდომარედ ისევ პატივცემული დ. ზ. ბაქრაძე, სეკრეტარად — გვადამაჟი, კანდიდატად — ვადაძე, ხაზინადრად — ბ. ალექსანდრე და მისი კანდიდატად — ბ. წილაძე. ახალ არჩეულ თავმჯდომარის წინადადებით და საზოგადოების წესდების მე-5 §-ის თანახმად საპატიო წევრებად აირჩიეს მთავარ მმართველი თ-ლი დანდუკაჯ-გაბაშვილი, საქართველოს ექსარხოსი, მთავარ-მმართველის თანამდებურ ლენტი ჰეგ-მეტაიკო და ლენტი. ა. კამარაძე.

ნამდვილად შეეცდეთ, რომ ბუჩაქში, დ. ჯანსუყის ამ ცოტა ხანში უნდა გაიხსნას მესამე განყოფილება მოძირიგებელ სასამართლოსი. უნდა ესთქვათ, რომ მთელი მესამელი მაზრისა, დიდი ხანია, რაც სთხოვდა ამ განყოფილების გახსნას, სწორედ ამ ადგილს, რადგანაც დაბლაწეული ერთსა-და-იმავე დროს გეოგრაფიული ცენტრიცა და სავაჭროც ესრედ წოდებულ „სანაპირო ბუჩაქისათვის“, რომელსაც ასზე მეტი

ბაო, — სულ ნამდვილი იქნებოდა და „ივერიის“ თანამშრომელს დასჭირდებოდა მისი გადასაბეჭდად ნახევარი გვერდი ჟურნალისა; მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ახალ მიმ. სულ სხვა აზრი გამოსთქვა და „ივერიის“ მწერალმაც იმის მტერად ქცევა თავს იდგა. მან ჯერ კბილი იმით მოსჭრა, რომ უსაყვედურა; არც ერთი ჭაჭტი არ მოგებოდა თქვენის სიტყუის დასამტყიცებლად (თუმცა არც-ერთი გამამტყუნებელი ჭაჭტი არც თვითონ მოჰყავს საქართველოს ცხოვრებიდან), შემდეგ ამცნო „მამული-შვილობის“ უცოდინრობა და ზედაც დააბერტყა რენანის ფილოსოფია. ან გვერდს, მარტო მე კიყო ამ აზრისა, არა, მე და რენანი ორნივენი ამ აზრისა ვართო. მე ეს არ მესმის, აქ რა საჭირო იყო ბაასის გამართვა იმაზედ, თუ ეხლა როგორ უნდა ეყურებოდეს კაცს მამულის-შვილობა; ხომ „ივერიის“ მწერალივე აღვიარებს, რომ თუმცა მთიულებს რენანი ით და იმსავით არ ესმით მამული-შვილობა, მაგრამ თუ რენანზედ მეტად არა, იმზედ მეტად დამანტყიცებენ თავიანთ სხოს კლდეებსაო. არ ვიცი „მენიშენების“ დამწერი რას უპასუხებდა

შეიძროდ დასახლებული სოფელი შეადგენს.

ამ დღეებში გამოვა თბილისში ჭრანტუხულს ენაზედ თხზულება აქას ბორენისა (ფსევდონიმი), რომელშიაც გარდმოცემულია შინაარსი „მეფის-ტყაოსნისა“. მკითხველებს თუ არ დაეწევიან, ჩვენს გაზეთში იყო თქმული ორიოდ სიტყვა ამ არც თუ თარგმანზე, არც თუ ნაბაძეზე, რომელშიაც რამდენიმე ეპიზოდი „მეფის-ტყაოსნიდან“ სრულიად გამოტოვებულია ან შემოკლებული და რამდენიმე აღწერილობა თვით შემთხვევისაგან ჩამატებულია.

დიდ-მარხვის ორშაბათს დაპირებისამებრ ვაიმართა ბალი ჭრანტუხულის საქველ-მოქმედო საზოგადოებისა. ამ ბაღმა საკმაოდ მხიარულად ჩაიარა, მეტადრე ალევრიმ, რომელშიაც ზოგიერთებმა მოიგეს სამი წლის კვიცი, ინდური, ერთი სადილი ბარბეკონთან ან კიდევ სხვა ამისთანა უცნაური მოსაგებები. მარტო ალევრილამ შემოსულა 900 მანათზე მეტი. ნახევარს წმინდა შემოსავლისას ხსენებული საზოგადოების კომიტეტი აძლევს კრუჟოკის სტარშინების უფროსს თბილისის ღარიბებ შორის გასანაწილებლად.

სოფ. პოდორიდან (სენაკის მაზრიდან) გვწერენ: „ავერ თუთხმეტი თუ თვრამეტი წელიწადია, მას აქვთ, რაც მამასახლისობა დაწესდა ჩვენში. ამ ხნის განმავლობაში მათ, მთავრობის ბრძანებით, ყველა სოფლებში გააკეთებინეს გზები, სადაც აუცილებლად საჭირო იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, არა რომელიმე მამასახლისმა და არც მაზრის მთავრობამ არ მიაქ-

„ახალ მიმ.“ მწერალს იმას რომ ეკითხნა: არ შეიძლება, რომ ქართველებსაც ნაწილ-ნაწილ და ერთად იმანი რადვე სმენოდით მამული-შვილობა, როგორც მთიულებს ესმით და იმათსავითაც მეტადრე ეომნათ თავიანთ მამულის დასაცველად? მაგრამ ესეები ჩვენი საქმე არ არის და სჯობს თავი დავედროთ. ისიც საკმარისია ჩვენთვის, რომ პატივცემულმა „მენიშენების“ მწერალმა ერთი საყოველ-დღეო ხელის-ხელ სავაგმანები ჭეშმარიტება შეგვძლენა. აი, ეს ჭეშმარიტება: ვისაც პუბლიცისტობა გწადიანთ, უნდა გაიგოთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ თუ მუდამ სიმართლეს მიჰყვებით — სინათლე გამოგვლევათო, უნდა დიდიხმატობას, პოლიტიკოსობას იცოდეთ. არასოდეს ჭეშმარიტება არ წამოგვდეს, თუ ჯერ მისი თქმის დრო არ იყოს; თუ მეცნიერობა გინდა, ეგ სულ სხვა არისო — მაშინ ჭეშმარიტება უნდა ამოდიოდეს მუდამ შენი პირიდანო. (იხ. 120 გ.). მე არ ვიცი „მენიშენების“ ავტორი პუბლიცისტი, თუ მეცნიერი, თორემ ყველაფერი ადვილად აიხსნებოდა. აი როგორ? თუ პუბლიცისტი, მაშინ შეიძლება და გვეფიქრა, რომ ზემო მოყვანილი

ცია ჯეროვანი ყურადღება, რომ გვეცემებინა ს. პოდორის ფრიად საჭირო გზა, რომელზედაც მთელი მაზრის მცხოვრებლებს დააქვთ თავიანთი ჭრანახული, საქონელი და სხე... „ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა გლენებმა დაიწყეს გზის კეთება, მაგრამ ჩვენს განსაცვიფრებლად მობრძანდა ბ. მ. თავის ამალით, თავი დაანებებინა ხალხს მუშაობაზედ და წაიყვანა სხვაგან სამუშაოდ. სასურველია, რომ უმაღლესი მთავრობა ყურადღებას მიაქცევდეს ამას და გააკეთებინებდეს მთელი მაზრისთვის აუცილებლად საჭირო ს. პოდორის გზას“.

იქიდანვე გვწერენ: „ჩვენს სოფელს გარშემო უფლის ნაბიჯები (როგორც სჩანს სახელიდან უწინ აქ მიმდინარეობდა რიონი) საიდანაც შემოსული წყალი გადიოდა მეორე შტოთი. მშლა ვილაც სამიამ, აჭარიავემ და მოგუშვილმა სათავე გაუკავეს წყალს და გააკეთეს წიქვილი. წიქვილმა, რასაკვირველია, დააგუბა წყალი, გადმოვიდა ნაბიჯებიდან და აწუხებს როგორც ადამიანს, ისე საქონლებს მრთელი სამი სოფლისას (ბულეკარი, პეთილარი და პოდორისი). მგონი ამაზედ მაზრის უფროსისათვის მიუციათ თხოვნა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი განკარგულება არ მოუხდენია.“

თელავიდან გვწერენ: „ამ ცოტას ხანში წერა-კითხვის საზოგადოება მიიღებს თელავიდან ერთს სახე-ქარს, რომელიც არის ძლიერ და ძლიერ ძვირფასი მთელის ქართველობისათვის. საქმე მდგომარობის შემდეგში: ამ ორიოდ კვირის წინად


აზრები პოლიტიკური აზრებია და არა ჭეშმარიტი, თვით მისი წერილი მთლად ღილაკბრტყული წერილია და ისე არ უნდა მივიღოთ, როგორც ბაჯალლო ოქრო; თუ მეცნიერია — მაშინ სულ ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ და არა პუბლიცისტური ცრუ-პეტელოზად. დასწყველოს ღმერთმა, ეს პუბლიცისტიკა და მეცნიერება მე ძმები მეგონენ და თურმე ნუ იტყვი ერთი პრიმანი ყოფილა და მეორე მარმუზი, მე მეგონა, რომ პუბლიცისტი, როგორც თვით სიტყვა აჩვენებს, ის არის, ვინც მეცნიერების გამოკვლევას, მისს უკანასკნელს სიტყვას საჯაროდ, სახალხოდ ჰფენს და თურმე ნუ იტყვი — სულ უკუღმა უფლია: იმას ჭეშმარიტებისთვის კალთა უფარებია და სხვა რაღაცეები უროშავს. ჩვენ ასე ვეგონა, რომ ჭეშმარიტება იმითი განიჩევა სიმტყუნად, რომ ის მაწყინარი არ არის არავისთვის; საქმე უკუღმა ყოფილა — ჭეშმარიტება იმითი ჩიეულა სიმტყუნად, რომ პირველის თვისება მანებლობაა კაცი-სათვის, მეორისა-კი სარგებლობა. პოდვე ვიმეორებთ, ურიგო არ იქნება შეეცდეთ „მენიშენების“ ავტორი პუბლიცისტი თუ მეცნიერი, — თო-

თელავის ერთმა მოქალაქემ, ბ. ი. სიმონოვმა მაჩვენა რამდენიმე ძველი ფულები და მთხოვა გამეგრა, თუ რა ფულებია და რა დროსი. შემტესი ნაწილი ამ ფულებისა ისე იყო გადაღესილი, რომ ვერა გაიგებოდა რა და ერთი კი კარგად შენახულიყო. როდესაც დავაკვირდი, დავინახე, რომ ამ ფულზე ხუცური ასოები ჩანს და წარმოდგინეთ ჩემი განკვიფრება, როდესაც, მცირეოდენი მეცადინეობის შემდეგ, სრულიად ცხადად გავარჩიე შემდეგი სიტყვები: ა. მ. თ. რ. დ. თ. (ესე იგი ძრისტე აღზდა. თამარ დავით). ამ ასოების შუაში არის მონოგრამა ძრისტესი ბერძნული ასოებით გამოყვანილი. ამისთანა მონოგრამა სხვებზე მინახავს სხვა-და-სხვა რუსულს ძველ ხელ-ნაწერებზე. მეორე მხარეზე ამ ფულისა რაღაც არის დაწერილი სამ სტრიქონად ხუცურივე ასოებით, მაგრამ ნამდვილად ვერ გავარჩიე. შული არის ბოლონდელი ჭრილობის ორ კავიციანის ოდენა და მოჭრილია ძლიერ სუფთად.

მს ამბავი ყველამ გაიგეს და აგრეთვე თ. ჩოლაყაშვილმა, რომელმაც სთხოვა ბ. სიმონოვს, რომ ეს ფული „წერა-კითხვის საზოგადოებისთვის“ გავეზავნა და იმანაც მისცა პატიოსანი სიტყვა, რომ თვით ჩოლაყაშვილს მიაჩნოდა და იმანვე გაუგზავნოს. დაწმუნებული უნდა ვიყენეთ, რომ ბ. სიმონოვი არ გადავა თავის სიტყვას და „საზოგადოება ამ ცოტას ხანში მიიღებს ფულს, ნეტარის თამარი-სა და შოთას დროინდელს.“

რემ შესაძლოა ის პუბლიცისტობდეს და ჩვენ-კი ვეგონარს ჭეშმარიტებას გვიქადაგებოსო. იტყვიან, მტყუანს მტყუენის კარამდის მიჰყვო — ჩვენც ასე გვინდა. ბ. ნ. „მენიშენების“ ავტორი, არ შეიძლება გვითხრათ: რა ჯილდოს ღირსნი იყვენ ის დოქტორ. პუბლიცისტი, რომელიც ბ. სურგუნოვს ეუბნებოდენ — თქვენი ცოლი ორსულად მიზეზიანობსო, ის-კი არა თუ — მისი ცოლი ფილტვების ანთებით იყო ავად და სულ სხვა გვარ მოვლას საჭიროებდა. ახლა-კი თავი დავენებოთ ამას და მიგუბრუნდეთ ისევ წერილს.

ჩემის ფიქრით არა ნაკლებს საყურადღებო აზრებს აცხადებს ის სტრიქონები, სადაც პუბლიცისტ-მეცნიერი ბძანებს, რომ საქართველოს თუ საქმუნაქებისათვის თავის მთაველი თავისის სისხლით არ მოგროწყო, უთუოდ დაიდუგებდა; მხოლოდ და მხოლოდ ამ უსაზღვრო „ბძმადას საქმუნაქებისათვის“, რამდენიმე მილიონიდან რამდენიმე ათასამდე მისის შეილების რიცხვის შემცირებას, „საქართველოს სიღატაკე მოჰყვას“. ნეტა ვიცოდეთ, პუბლიცისტობს მწერალი თუ მეცნიერობს: თუ პუბლიცისტობს,



რუსეთი

საქალაქო წესდებულებაში სტატუსკრეტარის ძახანოვის კომისიამ სხვათა შორის მოახდინა შემდეგი ცვლილებანი: 1) რიცხვი ხმოსნებისა ყოველს ქალაქში პროპორციულად უნდა იყოს დამოკიდებული აღმომრჩეველთა რიცხვთან; 2) რჩევილამ დათხოვნილ უნდა იქმნენ ის თანამდებობის პირნი, რომელნიც ქალაქის გამგეობაში მსახურებენ დაქირავებით; 3) ხმოსნები ვერ მიიღებენ მონაწილეობას იმ საქმეთა განჩინებაში, რომელნიც მათ ვერძოდ ან მათს მახლობელს მონათესავეთ შეეხებათ; 4) ხმოსნებს, რომელნიც შესაწყნარებელის საბუთის წარმოადგენდა, არ დაესწრებინ სხდომებზე და წინ დაწინვე არ აცნობებენ ამაზე ქალაქის თავს, გადახდებთ ჯარიმა ქალაქის საკველ-მოქმედო დაწესებულებათა სასარგებლოდ. ამ გვარივე ჯარიმა გადახდება ხმოსანს, რომელიც თავს-მჯდომარის დაუკითხველ დასტოვებს სხდომას. 5) ეს ჯარიმა გარკვეულია იმ შემთხვევაში, როდესაც ხმოსნების საქრო რიცხვის გამოუცხადებლობისა გამო სხდომა ვერ შესდგება. 6) ხმოსანი, რომელსაც რამდენიმეჯერ გადახდება ჯარიმა, იძულებული იქნება დასტოვოს თვისი წოდება.

ბასულის წლისა არ იყოს—წელსაც იწერებინ ზოგიერთს რუსულს გაზეთებში, რომ დიდ მარხვაში გამოვანებართვაო დრამატული წარმოდგენების გამართვისა.

ჭურნ. „რადუგაში“ ვკითხულობთ: „ძავესის მთავრობა სცილობდა,

არა უშავს-რა, პოლიტიკურის მოსახრებით იქნება ეს ცრუ აზრები ნათქვამი, სახეში სულ სხვა ექნებოდა; მაგრამ, ვაი თუ მცენიერობდეს! მაშინ ხომ კეშმარიტებად უნდა მივიღოთ და მერე? მერე ისა, რომ ვისაც თავის მამულის აყვავება ჰსურს, იმან უნდა თავის მემამულეებს აპკილოს ყოველგვარი ბრძოლა სარწმუნოებისათვის და მისი მამული ფენიქსებრ განახლებული აპყვავდებოდა. სხვას რომ უსაყვედურებდა ჩვენი პუბლიცისტ-მცენიერი დამამტკიცებელ საბუთების უქონლობას, რატომ ერთი საბუთი მაინც არ მოჰყავს საქართველოს ცხოვრებელად, რომ ბრძოლას სარწმუნოებისათვის უკან დასდევდა აღორძინების გვირგვინი, რომ შემდეგ ამ თერამეტის საუკუნის ბრძოლისა, მას ბრწყინვალე ნათელი დაადგა. აბა რა საბუთი მოგვარებათ მის წინააღმდეგ, რომ საქართველო უფრო ბედნიერი და ძლიერი არ იქნებოდა, თუ რომ სარწმუნოებისათვის საბრძოლველად იძულებული არ ყოფილიყო? მოიგონეთ ასპინძის ომის მიზეზი რა იყო: თუშკა მრეკლემ მაშინ გაიმარჯვა, მაგრამ რომ ეს ომი სულაც არ მომხდარიყო, არ ემჯობინებოდა საქართ-

რომ სამხრეთ-ძავესიაში, ბათუმის მახლობლად სამოთხისებრ ბუნებით და ჰავით მოცულს ადგილზე დაემართა რუსების სოფლები, დიდი რუსეთის სოფლების დაგვარად. მადამოასახლეს რამდენიმე გლეხი და დაასახლეს ლიმონის ჰლის მახლობლად. მართი წლის შემდეგ მიდის მთავრობა დასათვლიერებლად, თუ როგორ ცხოვრებენ გადმოსახლებულნიო. ხედვენ: სადღა ქალა.

— რა იქმნა ლიმონის ქალაქი?
— აჭიჩებეთ, ბატონო.
— როგორ! ის ხომ ლიმონის ხეები იყო.
— მიკით, ბატონო; რა მოესტევიტით, მაშინ გავიგეთ, მანამ-კი უბრალო ბუჩქნარი გვეგონა.

უცხოეთი

ინგლისი. უკანასკნელ კრებაზე მინისტრთა რჩევას გაგრძელებული ბაასი ჰქონდა სუდანის საქმეების გამო. დიდის საიდუმლოებით არის მოცული კრების დადგინებანი, რადგან ეშინიანთ მმართველობის გადაწყვეტილებამ შტრის ყურამდის არ მიადწიოს. ინგლისური გაზეთები-კი ჰფიქრობენ მაინც, რომ კაბინეტმა, უეჭველია, გადასწყვიტა უფრო ენერგიული მოქმედების დაწყება. 8-დამ 10,000-მდე ჯარის კაცი ახლად იგზავნება სუაკიში. ბლადსტონის სამინისტრომ მიუწერა გენ. შელსლეის იმ დრომდე არ შესწყვიტოს ბრძოლა სუდანში, სანამ ძირეულად არ აღმოფხვრის აჯანყებას.

იტალია. რომის და ლონდონის კაბინეტებს შუა ამ უკანასკნელ ხანებ-

ველოსთვის? მოიგონეთ, რამდენს ასახელებენ მწერალნი ძველად ქართველთ და რამოდენად შემცირდა მათი რიცხვი ამ ომების წყალობით, რომელნიც, როგორც თქვენ ბძანებთ, სარწმუნოებისათვის იმართებოდნენ. თქვენ გიყვართ მეროპიელთ ცხოვრებელად ქატიტების ამოკრეფა თქვენის აზრის დასამტკიცებლად და აბა ერთი თვალი გადაავლეთ მისს ძველს და საშუალ საუკუნოების ისტორიას და იქ იპოვეთ ნიშნები, რომ მეროპა სარწმუნოებისათვის ბრძოლამ არამც თუ შეაფერხა, არამედ მეტის-მეტად ჩქარის ნაბიჯით წაიყვანა განათლების და ბედნიერების გზაზედ. მოიგონეთ ასპინძის დაცემა, არაბების კულტურის შემუსვრა, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დაწვა ვილაც ეპისკოპოსის მიერ და შემდეგ უკმით გუნდრუკი სარწმუნოებისათვის გამოწვეულს ომებს.

მეორე ნახევარი თავის „შენიშვნებისა“ პუბლიცისტ-მცენიერს უძღვნა ბ. ჯანაშვილის— „მოკლე საქართველოს ისტორიისათვის. სწორე ვითხრათ, აქ კი გაუმარჯვნია, — მაგრამ ამისთვის მადლობელი უნდა იყოს „ბარათოვის და ზოლოვინისა“, რომელთაც უჩვენებიათ ეს გზა, თორემ

ში მოლაპარაკება გამართული იმის შესახებ, რომ იტალიამ მხარი მისცეს ინგლისს სუდანის აჯანყების დატყობაში. იტალიის დახმარება ამ რიგად მოხდება: ძაიროში და ამ ქალაქის გარემოს ინგლისსა ჰყავს დაყენებული გარნიზონები. ეს გარნიზონები ინგლისის მმართველობასა ჰსურს გავზანოს სუდანში, მაგრამ რადგან ამ ადგილების დატოვება უჯაროდ არ უნდა ინგლისს, ამიტომა სთხოვა იტალიას, რ მ ამან გაგზავნოს ჯარი ძაიროში და ამის გარემოს გარნიზონისათვის. როგორც იწერებინ გაზეთები და დიპლომატიურს წრეებშიაც ჰფიქრობენ, იტალია უარს არ ეტყვის ინგლისს ესეთ დახმარების გაწევაზედ, — მაგრამ არც თვით დაჩება გულ-ნაკლულად — სამაგიეროდ კარგ საჩუქარს მოითხოვს. იტალიას კარგ ხანია სანუკრად ტრიპოლისი განდომია და დროც ეხლა აქვს, რომ ისარგებლოს; მაგრამ ტრიპოლისი დღეს ოსმალეთის ხელ-ქვეითად ითვლება და ადვილად გასაგებია ის ყურადღება, რომლითაც ოსმალეთის მმართველობა თვალს ადევნებს იტალიის დიპლომატიას.

გერმანია. რამდენადაც იტალია და ინგლისი უახლოვდებიან ერთმანეთს იმდენად ბერმანია და ინგლისი ვერ, მორიგებულან კოლონიალურს პოლიტიკის გამო. არა მარტო ნემეცური გაზეთობა, არამედ ბერმანიის დიპლომატიურს სჭერაშიაც უპატიურად იხსენიებენ ინგლისს, რომელსაც მოვხსნებას სწამებენ და იმას კიდევ ვითომც ინგლისი განგებ აჯანყებდეს ნემეცების კოლონიებს. ბერმანია არც იტალიას ჰსწყალობს, რაკი ეს უკანასკნელი ინგლისის მომხრეობას იჩენს. „ველ-

ექვი მაქვს, რომ თვითონ თავის მოსაზრებით მისულიყო იმ დასკვნამდის, რომ ბ. მ. ჯ — ის ისტორია არის „კომპილიაცია“. ჩვენ ამ წერილილამ ერთი რამ უტყუარი ჰქმნარიტება შევითყეთ, რომელსაც თვითონ შენიშვნების მწერალი არ გვეტყოდა და ეს უფრო გვიხარინ, ვიდრე ბ. ჯანაშვილზედ მისის კრიტიკოსის გამარჯვება. აი, ესეც: პატივევული მწერალი მოდის დიდს განცვიფრებაში და თავის თავს ეკითხება: რამ აიძულა ბ. ჯანაშვილი, რამ ასეთის გულ-ჭკობით შესდგამია წმინდა საქმეს— ისტორიის წესსაო. აქედამ ცხადად ვტყობილობთ, რომ შენიშვნების მწერალი ყოფილა პუბლიცისტი და არა მცენიერი, თორემ არ გაუტირდებოდა შეეტყო, რამ აიძულა მოსე ჯანაშვილი ისტორიის შედგენისათვის. საქრო იყო ჩაგნენდა აწყობილოს სექტემბრის და ოქტომბრის „ივერიის“ № №-ებში და იქ ნახავდა, თუ რამ დაბადა კომპილიაცია ბ. ჯანაშვილისა. როდესაც ჩვენი ლიტერატურა გაუტაცნია ანუ გარდაქცეულა არქეოლოგიად, როდესაც დიდამ პატარამდე არქეოლოგობენ, როდესაც ერთად-ერთი თვითონ ქურნალი „ივერია“ თავის ფურცლებს

ნის გაზეთი“ იწერებენ, რომ სადღის-გეთმა არამც-და-არამც უნდა შევითმინოს იტალიისაგან მეწამული ზღვის ნაპირას ადგილების მითვისება. მაგრამ ნემეცური ოქციკოზები საფრანგეთის სარგებლობას-კი არ დასდევნ— ამით ჟინი სჭირთ იტალიისა, რომელიც კოლონიალურს პოლიტიკაში არ დაჰყვა თ. ბისმარკის სურვილს.

ტელეგრაფები

(„წმდილაკთის სააგენტოსა“) თებერვლის ნ-ს
კაბმარბუში. სისხლის სამართლის კასაციურმა დეპარტამენტმა სენატისამ, ექვსი საათის რჩევის შემდეგ, გადასწყვიტა: ჩივილისამებრ მირონოვიჩისა, რომელსაც ბრადად ედება სარაბეკერის მოკვლა, სასამართლოს განაჩენი და ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება დაირღვეს და საქმე გადაეცეს ხელ-ახლავ განსახილველად იმავე სასამართლოს მეორე განყოფილებას. ბეზაკის ჩივილისამებრ სასჯელის განაჩენი დაირღვეს და საქმე გადაეცეს სასამართლოს მეორე განყოფილებას ნაფიც მსაჯულთა გარდასწყვეტილებისამებრ განაჩენის დასადებლად. პროკურორის ამხანაგის პროტესტი სემენოვის ქალის გამართლების შესახებ უკურადდებოდ დარჩეს.

ლონდონი. ოპოზიციამ გარდასწყვიტა შეიტანოს წინადადება,

აჭრელებს არქეოლოგიური წერილებით, — რაღა გასაკვირველია, რომ ბ. ჯანაშვილს, როგორც ერთგულს ძეს საქართველოსას, ხელი მოეჭინა ამ საქმისთვის. და თუ დღეს მისი ნაღვანი ფუტია, ეგ ვისი ბრალია, თუ არ ისე ჩვენებური პუბლიცისტებისა. თუ ასე არ გინდოდათ უნდა პოლიტიკოსობისთვის თავი დაგენებებინათ და ბ. ჯ — შეილიც და სხვებისთვისაც ჰქმნარიტება გეთქვათ: ჯერ ისწავლეთ, ტინი ამუშავეთ, აზროვნება მოიქცით, შეიარაღლით მცენიერების იარაღით და მაშინ, მხოლოდ მაშინ, ისიც თუ გული მიგწევდეთ, შეუდექით არქეოლოგიას; თუ არა, რასაც საქმეს გააკეთებ, ყველა გვეჭრება ჩვენ და შენი ღვაწლი მაინც ფუტად არ ჩაივლის.

ასე ჩემო ბატონო, თქვენ თვითონ დააყენეთ კაცი უსწორო გზაზედ და დღეს თქვენვე საქალავს უგებთ.

გ. ხ.
ანგჩას 15-ს.



რომ გაკიცხულ იქმნას მმართველობის პოლიტიკა ეგვიპტეში.

ბერლინი. გერმანიის კომისარი კრანელი წავიდა ლონდონში, რომ მოილაპარაკოს მშვიდი ოკეანის გუნძულებზე შექმნის პოლიტიკის შესახებ.

თებერვლის 7-ს-

პატივმოყვანილნი. სახელმწიფო რჩევამ გაათავა განხილვა ბრანდონის სარკინის-გზო პროექტის იმ ნაწილისა, რომელიც მკვანძვების და საქონლის ტარებას შეეხება.

ამ დღეებში დამტკიცებულის წესდების თანახმად მატარებლებმა უნდა დაიწყოთ სიარული ნოვოროსიის შტოზე არა უგვიანეს ორ წლი-ნახევრისა წესდების დამტკიცების შემდეგ; ხოლო, რაკი ამ გზაზე მართლა მოსვლა გაიმართება, ხუთის წლის შემდეგ, მთავრობას შეეძლიან ამ გზის აქციები შეისყიდოს და გზა სრულიად დაისაკუთროს.

„ს. პეტერბ.“ უწყ“-ს სიტყვით სახელმწიფო რჩევამ გადასწყვიტა შემდეგი: იმ ქალაქებში, სადაც 6-15 ათასამდე მცხოვრებია, 6000 კაცზე ამორჩეულ იქმნას 4 საერო ხმოსანი და შემდეგ თითო ხმოსანი ყოველს 3 ათასს კაცზე, გლეხებისაგან-კი 3 ათასს კაცზე ამორჩეულ იქმნას თითო ხმოსანი; ნება დართული იქმნა, რომ, თუ საჭიროება მოითხოვს, საარჩევნო კრებები გამართულ იქმნას ქალაქების გარდა დაბეშაიც.

ბერლინი. ტამოქნის ბაყი შვრიაზე და ხილველობაზე რეისიტაგმა უწინდელი დასტოვა; გრენიხაზე და ქეჩუეკი 50 ფუნტის მაგივრად ერთი მარკა დანიშნა.

ათინა. ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო დელიანის.

პარიზი. ადმირალი გურბე იწერება, რომ ორმა ამფეთქებულმა გემმა, საადმირალი ნომალიდამ ჩაშვებულმა, შეინთან დადუჟა ჩინელების ოცდა ექვს ზარბაზნიანი ქრევატი და 600 კაცი მატროსი; დადუჟა აგრეთვე შვიდ ზარბაზნიანი კორვეტი და 150 კაცი მატროსი.

მარი. ინგლისის მოწინავე რაზმა რომელიც გუბატთან მეტამელს ანლო იდგა, აბუკლესაკენ დაიწია; უეჭველია კიდევ უფრო უკან დაიწევს კორტისაკენ, სადაც უელსლის უმთავრესი ძალაა მოგროვებული მაჰდი 50,000 კაცი და ზარბაზნებით მოდის მეტამენზე.

ცნობანი

გაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ლუქნებში და ხელდა-ხელ 1 თებერვლიდან 1 მარტამდე 1885 წ.

გამომცხვარი ზური რუსეთის ფქვილისა—	—	1	გირ.	5	გ.
აჭაურის ფქვილისა: შიქ.					
ველის ხარისხისა—	—	1	ბ.	2 1/2	
მეორისა—	—	1	ბ.	2	გ.

იმავე ფქვილ. თორნივი გამომცხვარი:					
შირველი ხარისხისა—	—	1	ბ.	4 1/2	
მეორისა—	—	1	ბ.	3	გ.
მესამისა—	—	1	ბ.	2 1/2	

ჭვარის-მამი ზური:

შირველი ხარის. ლაგში	1	ბ.	4 1/2		
მეორის ხარის. ლაგში	1	ბ.	3 1/2		
მესამისა—	—	1	ბ.	3	გ.

ძროხის ხორცი:

შირველის ხარისხისა—	1	ბ.	8	გ.	
მეორისა—	—	1	ბ.	7	გ.
სუკი	—	1	ბ.	15	გ.
ტყვრის ხორცი —	—	1	ბ.	8	გ.

ღორის ხორცი:

შირველის ხარისხისა—	1	ბ.	8	გ.	
მეორისა—	—	1	ბ.	7	გ.

ჩინის ზზა

თბილისიდან ბათუმიკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით თბილისიდან მარტო სამურამდინე საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით და შაბათობით სანქარა 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდან თბილისიკენ 12 საათზედ და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისიკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდან თბილისიკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. დამით.

მარტო სამურამდინე მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და შაბათობით სანქარა 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

მოკვლადი

ს. სიშ და ქ.

(II. 2542). (46-1)

ახლად გახსნილი საწუობი

პურის სპირტის

და

დაწმენდილი არაყისა

კანტონის ვლადიკავკასიის სპირტ-ტროიციის არაყის ქარხნისა შთამოკვლობითი სახატო მარქადაქეთა ივანე ადამის ძის შორამონისა და დავით ადამის ძის სარაჯონისა ამით აცხადებს, რომ ოქტომბრის 1-დამ გახსნა სანარდლო საწუობი პურის სპირტისა და დაწმენდილი არაყისა ქ. თბილისში, თა. მამშოვის ქარვასლაში, კრკენის მოედანზედ, ალელოვის კანტონის გვერდით.

საწუობში არის მრავალ-გვარი ზურის სპირტი: კოჭინისა, ლაკისა, ლიკორისა და აბოლიუტური ალკოჰოლი; აგრეთვე არაყება: დაწმენდილი, სასუფრო, დისტილატი და სამეფო არაყი საუკეთესო თვისებისა. სპირტი და დაწმენდილი არაყი ამ საწუობისა ისე იდგება თვით დეკორში, დ. სარაჯონის დიდს ახალს სახლში და ყოველ თბილისელ ცნობილ ვაჭრებთან. ჭურჭელია: ერთ-ვედროიანი, 1/2 ვედროიანი, 1/10, 1/16, 1/20, და 1/40 ვედროიანი, მტიკეტი და საწუობის ბუჭდით. მარკა: „Владикавказский Свято-Троицкий вино-курный заводъ изъ Тифлисскаго оптоваго склада“. ამავ ადგილებში გაიყიდება სპირტი და არაყები წვრილ-წვრილად 3 ვედრომდე 1, 1/2, და 1/4 ვედროიანი ჭურჭლით საწუობის ფასზედ.

ფასები საზოგადოდ შემოიკრია; შემოკეთილს სპირტს და არაყებს საწუობით თითონ ჩაბარებს შემოკვეთელს მოცემული ადრესით.

ქალაქს—გაკრძელო უნდა თავიანთი მოთხოვნა შემდეგის ადრესით გაგზავნონ:

Въ Тифлисъ, въ оптовой складъ хлѣбнаго спирта Ив. Ад. Поракова и Дав. Зах. Сараджева, на Эриванской площади, №1. (15-15)

სამხარე სივარული
მოთხოვნა
აგუი წერეთლისა
(„დროუბის“ რედაქციის გამოცემა.)
ფასი 30 კაზ.
(განცოც კომპლარტზედ მუცს იგი დის კრთბაშად, 10% დაცემობა.)
წიგნი ისე იდება თბილისში ტიპოგრაფიის წიგნის მაღაზიაში, შიგვრდის სააგენტოში და ჩარკინის მაღაზიაში. მუთარში ტიპოგრაფიის მაღაზიაში. ბათუმში, მოსკოვში, თელავში, სოლოლოვის ლეზოში. მოთბაშად ყიფა შეიძლება აგრეთვე დროუბის რედაქციაშია. (10-6)

ს ც ა მ ბ ა
ა. ი. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ი ს ა ჯ ა მ ბ.
თბილისში, ლორის მედიკოსის ქუჩაზე, მუსხევის შენობაში,
(ტურინისკის აფეთქის შიქრამი)
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავით: ზარეთებს, შურნალებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთვე ყოველგვარ ბლანკებს, პეტანციებს, სიტებს, აფიშებს, პირობებს და სხვ.
სისუფთავეზე ჯ დაწმენდა დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა შიქრამს აქლეს საქმის მომტანთ.
სტამბა კისრულობს კარეკტურის გასწორებას და ბროშურების გაცეთებას, უკეთეს საქმის მომცემი ისურვებენ.

მსურველს შეუძლიან შეიძინოს ვაზ. „ძაველის“ 1882, 1883 და 1884 და აგრეთვე ვაზ. „ნოვოე მოზ.“-სა 1884 წ.წ. სრული ეკემპლიარები 20 მან. „დროუბის“ ექსპედიტორისაგან, (5-5)
UN FRANÇAIS
Professeur de langue et de littérature françaises désire donner des leçons.
S'adresser: Librairie Boerenstamm (10-8)